სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030853469896220

№ 07-40/ო **25 / მარტი / 2020 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების (რაიონული/რეგიონული ცენტრები) უფროსი სოციალური მუშაკებისის/ უფროსების, უფროსი სოციალური მუშაკების და სოციალური მუშაკების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის № 204 დადგენილებით დამტკიცებული “საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის", საქართველოს მთავრობის 2020 წლის 29 იანვრის N58 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დებულების“ მე–5 მუხლის „თ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს საკონკურსო კომისიის, კომისიის სამდივნოს და საპრეტენზიო კომისიის შექმნის შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 13 მარტის №07-35/ო ბრძანების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. არაუგვიანეს 2020 წლის 1 აპრილისა გამოცხადდეს ღია კონკურსი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს (შემდგომში – სააგენტო) ტერიტორიული ერთეულების (რაიონული/რეგიონული ცენტრები) დანართი 1–ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.

2. **დამტკიცდეს** სააგენტოს ტერიტორიული ერთეულების (რაიონული/რეგიონული ცენტრები) ამ ბრძანების დანართი 1–ით გათვალისწინებული ვაკანტური თანამდებობებისთვის განსაზღვრული საკონკურსო მოთხოვნები დანართი 2–ის შესაბამისად.

3. კანდიდატს განცხადების წარსადგენად ეძლევა ხუთი კალენდარული დღის ვადა, კონკურსის გამოცხადების დღიდან. კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენა შეიძლება მხოლოდ ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის (www.hr.gov.ge) მეშვეობით.

4. ეთხოვოს სააგენტოს საკონკურსო კომისიას კონკურსის ჩატარების უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე–12კმ. #6), კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ხელმოწერილია/ შტამპდასმულია ელექტრონულად

სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს დირექტორი

მერი მაღლაფერიძე